საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY
CENTER OF GEORGIA

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“

წლიური ანგარიში
2024

სარჩევი

უწყების შესახებ 3

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები 4

- გამოგონება და სასარგებლო მოდელი 4
- ახალი ჯიშები 5
- სასაქონლო ნიშნები, დიზაინი, დეპონირება, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები 5

სამართალწარმოება და კანონშემოქმედებითი საქმიანობა 7

სერვისები და საინფორმაციო ტექნოლოგიები 9

- მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურება 9

ციფრული საქმისწარმოება და ტექნოლოგიური განახლება 10

- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (სესი) განახლება 10
- საარქივო მასალების გაციფრულება 11

საერთაშორისო თანამშრომლობა 12

ადამიანური რესურსების განვითარება და გენდერული თანასწორობა 15

ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისა და გადამზადების ცენტრი 17

- საგანმანათლებლო საქმიანობა 17
- საგამომცემლო და პოლიგრაფიული საქმიანობა 18

ფინანსური მაჩვენებლები 20

საზოგადოებასთან ურთიერთობა 21

უწყების შესახებ

სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ ინტელექტუალური საკუთრების სფეროში პოლიტიკის განმსაზღვრელი, დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე. საქპატენტის ამოცანებს შორისაა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, დიზაინი, მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიში, სასაქონლო ნიშანი, ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნა, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგია) სამართლებრივი დაცვა შესაბამისი რეგისტრაციისა და ექსპერტიზის გზით, ასევე საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ნაწარმოებების დეპონირება.

აღნიშნული ამოცანების შესრულება მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეფექტიანი სისტემის არსებობისთვის, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემის თავსებადობას საერთაშორისო სისტემასთან, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასა და ქმედითი აღსრულების მექანიზმების არსებობას. საქპატენტი ასევე ხელს უწყობს ინოვაციებისა და კრეატიული ინდუსტრიების განვითარებას, ახორციელებს საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების პროგრამებს და უზრუნველყოფს საზოგადოებისთვის ინტელექტუალური საკუთრების შესახებ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

ორგანიზაციული სტრუქტურა იხ. https://www.sakpatenti.gov.ge/ka/page/201/

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები

გამოგონება და სასარგებლო მოდელი

საქპატენტის გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტი უზრუნველყოფს გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადების კანონმდებლობით დადგენილი წესით განხილვას, რეესტრის წარმოებასა და შესაბამისი დოკუმენტების გაცემას.

საქართველოს საპატენტო კანონში 2023 წელს შეტანილი ცვლილებების იმპლემენტაციის პროცესი დასრულდა 2024 წელს „გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადის გაფორმების, წარდგენისა და პატენტის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ საქპატენტის თავმჯდომარის მიერ ინსტრუქციის დამტკიცებით. ინსტრუქციაში საქართველოს საპატენტო კანონის შესაბამისად დეტალურად განისაზღვრა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე, გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე უფლების მოპოვების პროცედურები.

საპატენტო კანონში შეტანილი ცვლილებები დადებითადაა შეფასებული ევროკომისიის 2024 წლის გაფართოების შესახებ ანგარიშში. გასათვალისწინებელია, რომ ანგარიშში მოცემულია რეკომენდაცია ევროპის საპატენტო კონვენციასთან მიერთებისათვის საჭირო მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე, რაც მნიშვნელოვანი გზავნილია საქართველოს ევროპის საპატენტო სივრცეში გაწევრიანებისთვის.

2024 წლის 15 იანვარს ძალაში შევიდა ევროპის საპატენტო ორგანიზაციასა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ შეთანხმება. საქართველოში ვალიდაციის მოთხოვნა შესაძლებელია ყველა იმ ევროპულ საპატენტო განაცხადზე ან საერთაშორისო (PCT) განაცხადზე, რომელიც შეტანილია 2024 წლის 15 იანვარს ან შემდგომ. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში ევროპული პატენტის ვალიდაცია მოთხოვნილია და შესაბამისი თანხა გადახდილია 11 განაცხადზე.

2024 წელს განხორციელდა ევროპის საპატენტო ოფისსა (EPO) და საქპატენტს შორის 2022-2024 წლების თანამშრომლობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობები. ამასთან, ხელი მოეწერა 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმას.

2024 წელს საქპატენტის გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის თანამშრომლებმა გაიარეს არაერთი ტრენინგი, რომლებიც ჩატარდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO), ევროპის საპატენტო ოფისისა (EPO) და შვეიცარიის ინტელექტუალური საკუთრების ფედერალური ინსტიტუტის (IPI) მიერ.

საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსებში: „ლეონარდო და ვინჩი“ (რუსთაველის ფონდი) და „ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი“ (ათასწლეულის ფონდი). ამასთან, ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, ჩატარდა 28 წინასწარი საპატენტო ძიება.

2024 წელს საქპატენტში წარმოდგენილია 189 გამოგონების განაცხადი, აქედან, საერთაშორისო პროცედურით 86 განაცხადი. ამასთან, საქპატენტმა, როგორც მიმღებმა

უწყებამ, საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) ფარგლებში მიიღო 11 საერთაშორისო განაცხადი. 2024 წელს გაიცა 130 პატენტი.

რაც შეეხება სასარგებლო მოდელის განაცხადებს, 2024 წელს შემოვიდა 51 განაცხადი და გაიცა 41 რეგისტრაციის მოწმობა.

ახალი ჯიშები

გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტი უზრუნველყოფს მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების განაცხადების კანონმდებლობით დადგენილი წესით განხილვასა და შესაბამისი დოკუმენტების გაცემას.

ახალი ჯიშების სამართლებრივი დაცვა რეგულირდება „მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების შესახებ“ საქართველოს კანონით, შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენციით (UPOV-ის კონვენცია).

2024 წელს საქპატენტში სარეგისტრაციოდ წარმოდგენილია 14 განაცხადი, ამასთან, გაიცა 15 რეგისტრაციის მოწმობა.

სასაქონლო ნიშნები, დიზაინი, დეპონირება, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები

სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტი უზრუნველყოფს სასაქონლო ნიშნებზე, გეოგრაფიულ აღნიშვნებსა და დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების წარმოშობას. ამ მიზნით, ადგილობრივ და საერთაშორისო განაცხადებს კანონმდებლობით დადგენილი წესით უტარებს ექსპერტიზას, გასცემს შესაბამის დამცავ დოკუმენტებსა და აწარმოებს რეესტრს. ასევე, ახორციელებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტების დეპონირებას.

2024 წელს სასაქონლო ნიშნების მიმართულებით დამუშავდა 5337 განაცხადი, საიდანაც 2155 იყო ეროვნული, ხოლო 3182 – საერთაშორისო. დარეგისტრირდა 1472 ეროვნული პროცედურით შემოსული სასაქონლო ნიშანი, ხოლო დაცვა გავრცელდა 2696 საერთაშორისო სასაქონლო ნიშანზე.

2024 წელს საქპატენტის გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში დაიწყო და დასრულდა მუშაობა შესაბამისი სამართლებრივი ცვლილებების ასახვის/განხორციელების მიზნით.

2024 წელს საზღვარგარეთ ქართული გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვის მიზნით, გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციის მოქმედების ვადა სომხეთის რესპუბლიკაში გაგრძელდა.

2024 წელს დამუშავდა ეროვნული და საერთაშორისო გეოგრაფიული აღნიშვნისა და ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციის 12 განაცხადი, მათ შორის, 5 – ლისაბონის შეთანხმების საფუძველზე. ამასთან, დარეგისტრირდა 4 ქართული გეოგრაფიული აღნიშვნა და 1 ქართული ადგილწარმოშობის დასახელება, ხოლო დაცვა მიენიჭა 3 საერთაშორისო ადგილწარმოშობის დასახელებას.

2024 წელს დიზაინზე მიღებულია 219 განაცხადი, მათ შორის იყო 64 ეროვნული, ხოლო 155 საერთაშორისო პროცედურით შემოტანილი. დარეგისტრირდა 55 განაცხადით წარმოდგენილი დიზაინები, საქართველოს ტერიტორიაზე კი გავრცელდა 157 საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება.

2024 წელს დამუშავდა 296 საავტორო და მომიჯნავე უფლებით დაცული ნაწარმოების დეპონირების განცხადება. აღსანიშნავია, რომ განცხადების უმრავლესობა წარმოდგენილია ელექტრონული ფორმით. გაიცა 338 დეპონირების დამადასტურებელი მოწმობა.

სამართალწარმოება და კანონშემოქმედებითი საქმიანობა

2024 წელი გარდამტეხი აღმოჩნდა ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის თვალსაზრისით, რაც გამოიხატა როგორც ფუნდამენტური რეფორმებით, ისე პრაქტიკული დაცვის მექანიზმების დახვეწით. კერძოდ, საანგარიშო წელს, ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა შემდეგ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში:

- 2024 წელს საქპატენტის უშუალო ინიციატივითა და მონაწილეობით განხორციელდა პატენტრწმუნებულთა სფეროს ფუნდამენტური რეფორმა. ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, 2024 წლის 15 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „პატენტრწმუნებულთა შესახებ“, რომლითაც დარეგულირდა საქართველოს პატენტრწმუნებულის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, პირის რეგისტრაციასა და მისთვის საქართველოს პატენტრწმუნებულის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები, აგრეთვე, განისაზღვრა საქართველოს პატენტრწმუნებულის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების, საქართველოს პატენტრწმუნებულთა ასოციაციის დაფუძნებისა და საქმიანობის პრინციპები და ძირითადი მიზნები.
- საანგარიშო წელს უწყების მონაწილეობით მომზადდა ცვლილებები „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში, რაც მიზნად ისახავდა ქართული საკანონმდებლო ბაზის ევროპულ სტანდარტებთან სრულ ჰარმონიზაციას. 2024 წლის 21 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. აღნიშნული ცვლილებით გაუმჯობესდა და დაიხვეწა საქართველოში სასაქონლო ნიშნების სამართლებრივი დაცვის მექანიზმები.
- „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ცვლილება შევიდა 3 კანონქვემდებარე აქტში.
- 2023 წლის 16 მაისს საქართველოს საპატენტო კანონში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, 2024 წელს მიღებულ იქნა 1 კანონქვემდებარე აქტი, ასევე საპატენტო კანონთან შესაბამისობაში მოვიდა კიდევ 1 კანონქვემდებარე აქტი.
- ამასთან, „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“ საქართველოს კანონის იმპლემენტაციისა და პრაქტიკაში დანერგვისთვის საქპატენტმა მიიღო 3 ახალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი და ცვლილება შევიდა 2 კანონქვემდებარე აქტში.
- „უსინათლო, მხედველობა შეზღუდული და ბეჭდვითი ინფორმაციის აღქმის შესაძლებლობის სხვა დარღვევების მქონე პირთათვის გამოქვეყნებულ ნაწარმოებებთან ხელმისაწვდომობის გაადვილების შესახებ“ მარაკეშის ხელშეკრულებიდან

გამომდინარე, განხორციელდა ცვლილებები „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში . აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, 2024 წელს საქპატენტმა მიიღო კანონქვემდებარე აქტი, რომლის თანახმადაც „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 23[1] მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის ავტორიზაცია მიენიჭა 3 იურიდიულ პირს.

- ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის კომისიის 2024 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დადგინდა ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 51-ე მუხლის მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ჰონორარისთვის ტარიფი.

აგრეთვე, საანგარიშო წელს მომზადდა და ხელი მოეწერა 2 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

2024 წელს საქპატენტმა განიხილა 13 ადმინისტრაციული საჩივარი, აგრეთვე, უწყებასთან არსებულ სააპელაციო პალატაში წარდგენილია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საქპატენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან, ასევე მათი დაცვის კრიტერიუმებთან, პატენტის გაცემასთან და სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტების რეგისტრაციასთან დაკავშირებული 165 სააპელაციო საჩივარი.

სასამართლო დავებზე საქპატენტის წარმომადგენლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. 2024 წელს საქპატენტში შემოსულია 41 სარჩელი და კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში წარდგენილია შესაგებლები.

სერვისები და საინფორმაციო ტექნოლოგიები

მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურება

საქპატენტის პრიორიტეტია მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურება, სერვისების მაქსიმალური გაციფრულება და სახელმწიფო სერვისების განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული სტანდარტების დანერგვა და მათი ეფექტიანი განხორციელება.

უწყება უზრუნველყოფს განმცხადებლებისთვის კონსულტაციების გაწევას, როგორც ადგილზე, საკონსულტაციო სივრცეში, ისე სატელეფონო და ონლაინ კომუნიკაციის მეშვეობით. სერვისების განვითარებისა და მოქალაქეთა მომსახურების სამმართველო ახორციელებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებით ეროვნული და საერთაშორისო პროცედურებით შემოტანილი განაცხადებისა და თანდართული მასალების მიღებას, დამუშავებას, საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციასა და შესაბამისი დამცავი დოკუმენტების გაცემას.

საკონსულტაციო მომსახურების სტატისტიკური მონაცემები 2024 წლის მდგომარეობით:

საკონსულტაციო სივრცეში გაწეული კონსულტაცია

964

სატელეფონო კონსულტაცია

12 469

ონლაინ გაწეული კონსულტაცია

441

ციფრული საქმისწარმოება და ტექნოლოგიური განახლება

საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (სესი) განახლება

2017 წლიდან ამოქმედდა საქპატენტის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (სესი), რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო პროცესების ელექტრონულ მართვას, მონაცემების გენერირებას, შენახვას, ხარისხობრივ და რაოდენობრივ დამუშავებას და ანგარიშგებას ერთიანი, სტრუქტურირებული არქიტექტურის ფარგლებში.

სისტემა აქამდე ეფუძნებოდა მოძველებულ ტექნოლოგიურ ბაზას, საჭიროებდა ინტეგრაციის, ავტომატიზაციისა და უსაფრთხოების სტანდარტების მნიშვნელოვნად გაძლიერებას. აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ, საქპატენტმა დაიქირავა მაღალკვალიფიციური დეველოპერთა გუნდი, რომელიც 2024 წლის 01 აგვისტოდან მუშაობს სისტემის მასშტაბურ ტექნოლოგიურ და ფუნქციურ მოდერნიზაციაზე. დაწყებული სამუშაოები მოიცავს:

- სერვერის ოპერაციული სისტემებისა და მონაცემთა ბაზების განახლებას;
- ფიზიკური სერვერებიდან ვირტუალურზე გადასვლას;
- პროგრამული პლატფორმების (Back-end და Front-end Framework-ების) გადატანას უახლეს ტექნოლოგიურ ვერსიებზე;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან მონაცემთა მიმოცვლის ავტომატიზაციისა და ინტეგრაციის გაუმჯობესებას;
- უსაფრთხოების სისტემის გაძლიერებას, მათ შორის, რეგისტრაციისა და ავტორიზაციის გაუმჯობესებას;
- მომხმარებლისთვის მოსახერხებელი და დაცული ონლაინ გადახდის მოდულის დამატებას – ნებისმიერი საბანკო ბარათისა და მობაილ ბანკინგის გამოყენებით;
- ინტუიციური და დახვეწილი მომხმარებლის ინტერფეისის დანერგვას;
- სისტემის ოპტიმიზაციასა და სისწრაფის გაზრდას, რაც უზრუნველყოფს მომხმარებლის მოთხოვნებზე სწრაფ და ეფექტიან რეაგირებას.

განხორციელებული და დაგეგმილი ტექნოლოგიური განახლებები აუმჯობესებს მომხმარებლის გამოცდილებას და უზრუნველყოფს მოქნილი და ავტომატიზებული სისტემის შექმნას, ინტელექტუალური საკუთრების სერვისების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობასა და მონაცემთა უსაფრთხოების გაძლიერებას.

საარქივო მასალების გაციფრულება

2024 წელს საქპატენტმა დაიწყო უწყების დაფუძნების დღიდან არსებული მატერიალური დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება, მათი გაციფრულებისა (დიგიტალიზაცია) და შესაბამისი მატერიალური და ელექტრონული არქივების შექმნა. აღნიშნული მიზნისთვის შემუშავდა არქივის ელექტრონული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დასკანერებული დოკუმენტების შენახვას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ელექტრონულ ფორმატში დოკუმენტების მარტივ და სწრაფ ხელმისაწვდომობასა და ინფორმაციის დაცვის დივერსიფიკაციას. სისტემის ფუნქციონალის შემდგომი გაუმჯობესება და მისი მისადაგება განახლებული ბიზნესპროცესების მოთხოვნებთან 2025 წლის განმავლობაში გაგრძელდება.

საერთაშორისო თანამშრომლობა

2024 წელს საქპატენტმა კიდევ უფრო გააღრმავა თანამშრომლობა წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რაც ხელს უწყობს საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ ინტელექტუალურ სივრცეში. ინტელექტუალური საკუთრების სფეროს განვითარება და ეფექტიანი მართვა ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანაა, რომლის წარმატებული შესრულება საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია. მრავალმხრივი თანამშრომლობა წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება ხელს უწყობს როგორც ეროვნული სისტემის გაძლიერებას, ისე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. საანგარიშო პერიოდში, საქპატენტი აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა დონორ და პარტნიორ ორგანიზაციებთან, რამაც ხელი შეუწყო სფეროს განვითარებას.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) გენერალური ასამბლეის 65-ე სესია

2024 წლის 9-17 ივლისს გაიმართა WIPO-ს გენერალური ასამბლეის 65-ე სესია, რომელსაც დაესწრო საქართველოს დელეგაცია ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის სოსო გიორგაძის ხელმძღვანელობით. თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, ჩატარდა არაერთი შეხვედრა, მათ შორის, WIPO-ს გენერალურ დირექტორთან დარენ ტანგთან, მის მოადგილესთან ვანგ ბინინგთან, WIPO-ს აკადემიის აღმასრულებელ დირექტორთან შერიფ საადალასთან, ევროპის საპატენტო უწყების (EPO) პრეზიდენტთან ანტონიო კამპინოსთან, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) აღმასრულებელ დირექტორთან ჟოაო ნეგრაოსთან და ყაზახეთის რესპუბლიკის დელეგაციასთან.

შეხვედრის ფარგლებში საქპატენტის თავმჯდომარემ და ევროპის საპატენტო უწყების (EPO) პრეზიდენტმა ხელი მოაწერეს ორწლიან (2025-2026 წლების) საერთო სამოქმედო გეგმას, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში პატენტრწმუნებულების ინსტიტუტის განვითარებას, საქპატენტის ელექტრონული საქმისწარმოების დახვეწას, ასევე, არსებული სერვისების გაუმჯობესებასა და ახალი სერვისების დანერგვაში მხარდაჭერას.

WIPO – საქპატენტის ერთობლივი პროექტი

2024 წლის გაზაფხულზე დასრულდა საქპატენტისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ერთობლივი ერთწლიანი პროექტი „შერჩეული რეგისტრირებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნების მართვა, ბრენდინგი და კომერციალიზაცია“, რომელიც მიზნად ისახავდა გეოგრაფიული აღნიშვნებითა და ადგილწარმოშობის დასახელებებით ნიშანდებული ქართული, უნიკალური პროდუქტების მწარმოებელი ფერმერების მხარდაჭერას. პროექტის ფარგლებში შერჩეული რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის „თუშური გუდას“ მაგალითზე მწარმოებლებისთვის ჩატარდა შესაძლებლობების გაძლიერებისა და მარკეტინგული უნარ-ჩვევების განვითარებისკენ მიმართული მიზნობრივი ტრენინგები, შეხვედრები და დისკუსიები.

ევროპული პატენტების ვალიდაცია საქართველოში

2024 წლის 15 იანვრიდან ძალაში შევიდა შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ევროპის საპატენტო ორგანიზაციას შორის ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა ევროპული საპატენტო განაცხადების და ევროპის საპატენტო უწყების (EPO) მიერ გაცემული ევროპული პატენტების საქართველოში ვალიდაცია. 15 იანვრიდან საქართველო ვალიდაციის სტატუსით მე-5, ხოლო რიგით 45-ე ქვეყანაა, სადაც, ევროპული საპატენტო განაცხადის საფუძველზე, შესაძლებელია პატენტის დაცვა.

ევროპის საპატენტო უწყების (EPO) პრეზიდენტთან შეხვედრა

2024 წლის 15 იანვარს საქპატენტის თავმჯდომარე სოსო გიორგაძე მიუნხენში ევროპის საპატენტო უწყების (EPO) პრეზიდენტს ანტონიო კამპინოსს შეხვდა. მან მადლობა გადაუხადა ანტონიო კამპინოსს ვალიდაციის რთულ და დინამიკურ პროცესში გაწეული მხარდაჭერისათვის. შეხვედრისას ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ საქართველოს მხრიდან სერვისების მიწოდება საერთო, ერთიანი სტანდარტებით მოხდება, რისთვისაც საქპატენტმა უკვე გაატარა არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა, კერძოდ, ცვლილებები შევიდა საპატენტო კანონში, ასევე გაუმჯობესდა და EPO-ს სისტემებთან თავსებადი გახდა ელექტრონული სისტემები. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სამომავლო თანამშრომლობაზეც. მხარეებმა იმსჯელეს სამომავლო თანამშრომლობის პრიორიტეტებზე, მათ შორის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მექანიზმების გაძლიერებაზე, ახალი სერვისების დანერგვასა და სასწავლო მიმართულების განვითარებაზე. ყურადღება გამახვილდა, აგრეთვე, პატენტრწმუნებულთა ინსტიტუტის გაძლიერებასა და რეფორმაზე, რაც სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას უზრუნველყოფს.

პან-ევროპული პროფესიული სტაჟირების პროგრამა (Pan-European Seal (PES) Programme)

2024 წლიდან, საქპატენტის შუამდგომლობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები სტაჟირებას ესპანეთში, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებაში (EUIPO) გაივლიან. პან-ევროპული პროფესიული სტაჟირების პროგრამა (Pan-European Seal (PES) Programme) გულისხმობს, რომ ზემოაღნიშნული უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ ერთწლიანი, სრულად დაფინანსებული სტაჟირება ალიკანტეში, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებაში (EUIPO). ქართველი კურსდამთავრებულები ისარგებლებენ პროგრამის ყველა უპირატესობით. აღსანიშნავია, რომ 2024 წელს PES პროგრამაში მონაწილეობის მიზნით, კონკურსის შედეგად შეირჩა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2 კურსდამთავრებული.

მოლდოვას რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ერთობლივი კომიტეტის პირველი სხდომა

2024 წლის 5 აპრილს მოლდოვას რესპუბლიკასა და საქართველოს შორის გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვასთან დაკავშირებით ერთობლივი კომიტეტის პირველი სხდომა გაიმართა. საქართველოს მხარემ მოლდოვას

დელეგაციასთან საქართველოს გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები განიხილა. შეთანხმების ფარგლებში, საქართველომ წარადგინა 18 გეოგრაფიული აღნიშვნა/ადგილწარმოშობის დასახელება, რომელსაც დაცვა უნდა მიენიჭოს მოლდოვას რესპუბლიკაში.

თანამშრომლობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ადმინისტრაციასთან (CNIPA)

2024 წლის 12 სექტემბერს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარე სოსო გიორგაძე პეკინში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ადმინისტრაციის (CNIPA) ხელმძღვანელს დოქტორ შენ ჩანგუის შეხვდა. ორმხრივ შეხვედრაზე ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლითაც მხარეებმა დაადასტურეს თავისი განზრახვა ითანამშრომლონ გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის მიმართულებით. მხარეებმა ხაზი გაუსვეს გეოგრაფიული აღნიშვნების მნიშვნელობას, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთ წამყვან მიმართულებას, რომელსაც სარგებელი მოაქვს მწარმოებლებისთვის, მომხმარებლებისთვის და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში.

შეხვედრა გაიმართა ინტელექტუალური საკუთრების შესახებ გამართული მაღალი დონის კონფერენციის „სარტყელი და გზა“ ფარგლებში, სადაც საქართველოს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო პლენარულ სესიაში, რომელსაც 450-მდე მონაწილე დაესწრო. ვიზიტის დასასრულს საქპატენტის თავმჯდომარემ კონფერენციის მონაწილეებს ქართული გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემისა და პროდუქტების შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა.

ზემოაღნიშნული შეხვედრის შემდეგ, 2024 წლის 12-14 ოქტომბერს საქპატენტს, პირველად, ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, ოფიციალური ვიზიტით ეწვია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ადმინისტრაციის დელეგაცია ხელმძღვანელის, დოქტორ შენ ჩანგუისა და CNIPA-ს სხვა მაღალი თანამდებობის პირების შემადგენლობით. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ერთობლივ საერთაშორისო ყოველწლიურ საგანმანათლებლო აქტივობებზე, მათ შორის, საზაფხულო და ზამთრის სკოლებზე.

ადამიანური რესურსების განვითარება და გენდერული თანასწორობა

საქპატენტის გუნდი აერთიანებს 100-ზე მეტ თანამშრომელს, რომლებიც ემსახურებიან ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების სისტემის მდგრად განვითარებას. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, უწყება სისტემატურად მართავს ტრენინგებსა და გადამზადების პროგრამებს, რათა მუდმივად ჰქონდეთ შესაძლებლობა გაიღრმაონ პროფესიული ცოდნა, განავითარონ უნარები და ადეკვატურად უპასუხონ დარგში არსებულ გამოწვევებს.

კომპეტენტური და მოტივირებული კადრების შენარჩუნებასთან ერთად, პრიორიტეტულია ახალი თაობის პროფესიონალების მოზიდვა და მათი მხარდაჭერა. კვალიფიციური ადამიანური რესურსის მოზიდვის, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავებისა და საიმედო საკადრო რეზერვის შექმნის მიზნით, 2023 წელს საქპატენტმა განახორციელა ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა. პროგრამის შედეგად, 2024 წლის 1-ლი იანვრიდან გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტს შემოუერთდა ოთხი ახალგაზრდა სპეციალისტი: სამი ქიმია-მედიცინისა და ბიოლოგიის მიმართულებით, ხოლო ერთი – მექანიკისა და ფიზიკის მიმართულებით.ინტენსიური სასწავლო და პრაქტიკული კურსების გავლის შედეგად, მათ არა მხოლოდ გაიღრმავეს თეორიული ცოდნა, არამედ შეიძინეს რეალურ სამუშაო პროცესზე დაფუძნებული გამოცდილება. ვინაიდან უწყებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ დარგის ახალგაზრდა კადრების შენარჩუნება, სტაჟირების დასრულების შემდეგ მათთან შრომითი ურთიერთობა გაგრძელდა.

საქპატენტისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა როგორც ადამიანური რესურსების მართვაში, ისე ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებაში. უწყება უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს ქალებისა და მამაკაცებისთვის კარიერულ განვითარებაში, სწავლისა და გადამზადების პროგრამებში ჩართვაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობასა და ხელმძღვანელ პოზიციებზე დაწინაურებაში.

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროცესის ნაწილად დაწესებულებაში ხორციელდება გენდერული მონაცემების შეგროვება და ანალიზი, რომლის მაჩვენებლები ორგანიზაციაში გენდერული ბალანსისა და თანასწორობის თვალსაჩინო მაგალითია. უწყებაში ქალთა ჩართულობის მაჩვენებელი მაღალია როგორც სპეციალისტთა, ისე მენეჯერულ დონეზე.

2024 წლის სტატისტიკა (დასაქმებულთა შესახებ, მათ შორის, გენდერულ ჭრილში)						
2024 წელი	დასაქმებულთა რაოდენობა	ქალი	კაცი	მენეჯერი	ქალი	კაცი
I კვარტალი	127	88	39	20	12	8
II კვარტალი	123	85	38	21	13	8
III კვარტალი	128	85	43	21	12	9
IV კვარტალი	122	86	41	21	12	9

ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისა და გადამზადების ცენტრი

საგანმანათლებლო საქმიანობა

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელებას უზრუნველყოფს საქპატენტის ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისა და გადამზადების ცენტრი, რომლის საქმიანობაც მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სასწავლო პროგრამების დანერგვასა და განხორციელებას, საგამომცემლო-პოლიგრაფიულ საქმიანობასა და საბიბლიოთეკო მომსახურებას.

2024 წელს დაიწყო მუშაობა რამდენიმე მნიშვნელოვან ინიციატივაზე:

- ახალი, თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა ქუთაისში, პარლამენტის ყოფილ შენობაში;
- კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოში ახალი კვალიფიკაციის დამატების პროცესის ინიციირება – საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის დანერგვის მიზნით;
- პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო სისტემის რეფორმის მოსამზადებელ ეტაპში ჩართულობა;
- WIPO-ს აკადემიასთან თანამშრომლობით, ტრენერთა 3-ეტაპიანი გადამზადების პროგრამა და შესაბამისი სერტიფიცირება გაიარა 22 ტრენერმა;
- მოსამართლეებისთვის ინტელექტუალური საკუთრების სამართლის შესახებ WIPO-ს აკადემიის სპეციალიზებული დისტანციური კურსის დანერგვის მიზნით, ქართულენოვანი სასწავლო მასალა აიტვირთა პლატფორმაზე.

საანგარიშო პერიოდში ცენტრის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა 9 სასწავლო აქტივობა, რომელსაც ჯამში 302 მონაწილე დაესწრო. მათ შორის, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით ჩატარდა:

- გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ საქპატენტისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ერთობლივი საერთაშორისო სპეციალიზაციის კურსი განახლებული ფორმატით;
- ინტელექტუალური საკუთრების სამართლის შესახებ საქპატენტისა და ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის (ELSA) ერთობლივი ყოველწლიური საერთაშორისო საზაფხულო სკოლა;
- დისტანციური სწავლების ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსი – DL101GE WIPO-ს აკადემიასთან თანამშრომლობით;

საქპატენტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ჩატარდა სხვადასხვა თემატიკის სასწავლო აქტივობები:

- ბიოტექნოლოგიისა და ფარმაციის სფეროში სასწავლო სესიები ევროპის საპატენტო უწყების (EPO) ექსპერტების მონაწილეობით საქპატენტის გამოგონებისა და ახალი

ჯიშების დეპარტამენტის ქიმიის, მედიცინისა და ბიოლოგიის სამმართველოს თანამშრომლებისთვის.

- ტრენინგი „მოქმედების თავისუფლების ძიება (FTO) ქიმიის დარგში“ საქპატენტისა და შვეიცარიის ინტელექტუალური საკუთრების ფედერალური ინსტიტუტის (IPI) ერთობლივი პროექტის (GESIP) ფარგლებში;
- ტრენინგი „ბიოტექნოლოგიის დარგში გამოგონებების პატენტუნარიანობა და მოქმედების თავისუფლების (FTO) ძიება“ საქპატენტისა და შვეიცარიის ინტელექტუალური საკუთრების ფედერალური ინსტიტუტის (IPI) ერთობლივი პროექტის (GESIP) ფარგლებში.

ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის გაიმართა:

- ვებინარი გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ საქართველოს გამოცდილების გაზიარების მიზნით უზბეკეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყების წარმომადგენლებისთვის;
- საჯარო ლექცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის.

საგამომცემლო და პოლიგრაფიული საქმიანობა

საქპატენტის საგამომცემლო საქმიანობა მოიცავს საზოგადოების ფართო წრეებში ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ცოდნის გავრცელებისა და, დარგის პოპულარიზაციის ხელშესაწყობის მიზნით, სასწავლო თუ საინფორმაციო ხასიათის წიგნების, ჟურნალების, ბროშურებისა და სხვა საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის პუბლიკაციების გამოცემასა და ბეჭდვას. მათ შორის მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნების მიზნით, WIPO-ს სტანდარტებით სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენებისა და მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ბიულეტენის გამოცემა.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა და გამოიცა შემდეგი ოფიციალური გამოცემები:

- სამრეწველო საკუთრების 24 ქართულენოვანი ოფიციალური ბიულეტენი;
- ითარგმნა და გამოიცა სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის ინგლისურენოვანი ვერსიის 24 ნომერი;
- ოფიციალური ბიულეტენის სპეციალური გამოშვების 4 ნომერი ((№(19)–№4(22));
- მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ბიულეტენის 6 ნომერი.

გარდა ამისა, საგამომცემლო მიმართულება მოიცავს პატენტთან ერთად გასაცემი მასალების შესაბამისი ენობრივი და საერთაშორისო სტილისტური სტანდარტით მომზადებასაც. საანგარიშო პერიოდში პატენტებთან ერთად გასაცემად მომზადდა 270 გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის აღწერილობა. გარდა ამისა, საერთაშორისო საპატენტო ბაზებში განსათავსებლად ინგლისურ და რუსულ ენებზე ითარგმნა

ადგილობრივი და საერთაშორისო განაცხადის გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის 337 პატენტის რეფერატი.

საგამომცემლო-სარედაქტორო სამუშაოების მიმართულებით საანგარიშო წელს მომზადდა 2270 გვერდზე მეტი სხვადასხვა დანიშნულების მასალა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია საინტერესო ფოტომასალით ილუსტრირებული, მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით გამოცემული ჟურნალი „საქართველოს ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები“.

დარგის პოპულარიზაციისა და ინტელექტუალური საკუთრების საკითხებზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით, საქპატენტი თანამედროვე პოლიგრაფიული დანადგარების მეშვეობით, უზრუნველყოფს არა მხოლოდ დარგობრივი ლიტერატურისა და საინფორმაციო-საცნობარო პუბლიკაციების გამოცემას, არამედ ოფიციალური ბიულეტენებისა და სხვა ნაბეჭდი პროდუქციით უწყების სრულ პოლიგრაფიულ მომსახურებას. სულ საანგარიშო წელს დაიბეჭდა სხვადასხვა დანიშნულების 4243 ერთეული პოლიგრაფიული პროდუქცია.

ფინანსური მაჩვენებლები

საქპატენტის დაფინანსება ხორციელდება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასა და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლით, რითაც უწყება უზრუნველყოფს ყველა ხარჯის (საოპერაციო და არასაოპერაციო) დაფინანსებას.

2024 წელს საქპატენტის მიერ გასაწევი ხარჯები დაგეგმილი იყო 9 386.7 ათასი ლარის სიდიდით. ფაქტობრივად გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 7650.9 ათასი ლარი, დაგეგმილზე 1 735.8 ათასი ლარით ნაკლები.

საქპატენტის შემოსავალი დაგეგმილი იყო 12 500.0 ათასი ლარის სიდიდით. ფაქტობრივად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 12 617.4 ათასი ლარი, დაგეგმილზე 117.4 ათასი ლარით მეტი.



საზოგადოებასთან ურთიერთობა

საანგარიშო წელს საქპატენტის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისა და ინტელექტუალური საკუთრების მიმართულებით მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით, უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა შესაბამისი საკომუნიკაციო და საინფორმაციო აქტივობები.

საზოგადოებასთან კომუნიკაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქპატენტის მხრიდან ინტელექტუალური საკუთრების სფეროს წარმოჩენა როგორც ადგილობრივ დონეზე, ისე გლობალურ ჭრილში. ამ კუთხით ხაზგასასმელია 2024 წელს WIPO, EUIPO, EPO, CNIPA-თან განხორციელებული პროექტების ფართოდ გაშუქება და სხვადასხვა სახის აქტივობით საზოგადოების ინფორმირება. აღნიშნულ თემებზე მუშაობისას კონკრეტული აქცენტები გაკეთდა პროექტების მასშტაბურობასა და პარტნიორებთან თანამშრომლობაზე.

ჩატარდა შემეცნებითი ხასიათის სამუშაოები ტელერადიომაუწყებლებისა და საინფორმაციო სააგენტოების ჩართულობით. სოციალური ქსელის სხვადასხვა პლატფორმის გამოყენებით აქტიურად გაშუქდა ისეთი მნიშვნელოვანი რეფორმები, ინიციატივები და საერთაშორისო დონის შეხვედრები, როგორებიცაა: საქართველოს მთავრობასა და ევროპის საპატენტო ორგანიზაციას შორის ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ შეთანხმების ამოქმედება; „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები; „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ“ საქართველოს კანონი. გარდა ამისა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა საზოგადოებას მიაწოდა ამომწურავი ინფორმაცია საქპატენტისა და ევროპის საპატენტო უწყების (EPO) ორწლიანი საერთო სამოქმედო გეგმის შესახებ, ასევე პან-ევროპული სტაჟირების პროგრამაში (PES) საქართველოს ჩართულობის თაობაზე.

მრავალმხრივად წარმოჩინდა საკვანძო ღონისძიებები, მათ შორის: საქპატენტსა და ჩინეთის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ადმინისტრაციას შორის გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სფეროში ოფიციალური შეთანხმების გაფორმება; პირველად საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სწავლების საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის შემუშავება; საქართველოს მიერთება მარაკეშის ხელშეკრულებაზე; ახალი მასშტაბური და მაღალტექნოლოგიური ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისა და გადამზადების ცენტრის პროექტის დამტკიცება. საინფორმაციო საშუალებებსა და შემეცნებით გადაცემებში გაშუქდა საქპატენტის თავმჯდომარის სოსო გიორგაძის მაღალი დონის შეხვედრები მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) გენერალურ დირექტორ დარენ ტანგთან, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) აღმასრულებელ დირექტორთან ჟოაო ნეგრაოსთან, ევროპის საპატენტო უწყების (EPO) პრეზიდენტთან ანტონიო კამპინოსთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ადმინისტრაციის (CNIPA) ხელმძღვანელთან დოქტორ შენ ჩანგუისთან და სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან. სხვადასხვა ტელემაუწყებლის გადაცემებში საქპატენტის ხელმძღვანელი არაერთხელ საგანგებოდ მიიწვიეს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებულ წარმატებებსა და მიღწევებზე სასაუბროდ.

ფართოდ გავრცელდა, ასევე, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ავტორიტეტული და გავლენიანი საერთაშორისო კვლევების შედეგები და ანგარიშები, კერძოდ, 2024 წლის ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ საქართველოს პოზიტიური შეფასება.

2024 წელს საქპატენტი აქტიური იყო კულტურულ-შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებში მონაწილეობისა და საინფორმაციო კამპანიის გამართვის კუთხით. ამ მიმართულებით უნდა აღინიშნოს ისეთი პროექტები, როგორებიცაა: კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“, ყურძნის ახალი მოსავლის ზეიმი „რთველი“, ყოველწლიური ტრადიციული ფესტივალი „ჭაჭა“, გურჯაანის ღვინის ფესტივალი, ბასკეთ-საქართველოს ერთობლივი გასტრონომიული კონგრესი, ბოლნისის დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის ფესტივალი და სხვ.

საქპატენტი ტელეკომპანია იმედთან ერთად ახორციელებს პოტენციური გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ გადაცემათა ციკლს. 2024 წელს ეთერში გავიდა სიუჟეტები „რაჭული ლორის“, „ახალციხის წითელი დოლის პურის“, „კარდენახის ხიხვის“, „სურების თაფლისა და არყის“, გურჯაანის მარწყვის, „ქართული ტრადიციული მთიანეთის ლუდის“, „თუშური კალტის“, ფარდაგის, „ობჩის“ ღვინის, „მარტვილის ხურმისა“ და „აჭარის მანდარინის“ შესახებ.

საანგარიშო პერიოდში, უნიკალური ქართული პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით, საქპატენტმა გააგრძელა ფეისბუქკამპანია გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების შესახებ. სოციალური ქსელისა და ონლაინმედიის საშუალებით ფართოდ გავრცელდა ინფორმაცია საქპატენტში რეგისტრირებული 64 პროდუქტის შესახებ, გამოიცა ჟურნალი ქართულ და ინგლისურ ენებზე და მოეწყო ჟურნალის პრეზენტაციაც. გარდა ამისა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის სახით შეიქმნა 64 პროდუქტისაგან შემდგარი მინიატიურული კომპოზიცია. სხვადასხვა აქტივობის შედეგად წარმოჩინდა ამ პროდუქტების უნიკალურობა და სარგებელი ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში.

საქპატენტისთვის მნიშვნელოვანია სოციალური პასუხისმგებლობის ჭრილში ღონისძიებების მოწყობა. ამ მიმართულებით 2024 წელს უკვე ტრადიციად ჩამოყალიბდა საქპატენტის რთველში ძეგვის სარეაბილიტაციო ცენტრის ბავშვების მონაწილეობა, სადაც მოზარდები სახალისო სამუშაოებში ერთვებიან და, ამავდროულად, ეცნობიან ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებსა და დარგის სპეციფიკას. ინტელექტუალური საკუთრების შესახებ მოზარდების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, ამერიკის საელჩოს პროგრამის „მობილური ამერიკული კუთხე“ ფარგლებში, საქპატენტს ესტუმრნენ წეროვნის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები სკოლის მოსწავლეები, ასევე, წლის ბოლოს უწყებამ უმასპინძლა „მწვანე სკოლის“ აღსაზრდელებს.

სტატისტიკა ტრადიციული მედიის მიმართულებით



- 280 რელიზი მხარდამჭერ საინფორმაციო პორტალებზე;
- 15-ზე მეტი ეთერი ტელემედიაში;
- 20-ზე მეტი სიუჟეტი საქპატენტის საქმიანობის შესახებ.

სტატისტიკა სოციალური მედიის მიმართულებით



სოციალური მედიის ძირითადი საკომუნიკაციო არხის Facebook-ის ანალიტიკური მონაცემები 2024 წლის საანგარიშო პერიოდში

- ჩვენ მიერ განთავსებულმა კონტენტმა მიაღწია 951 600 ადამიანამდე, რაც 95,3%-ით აღემატება გასული წლის სრული საანგარიშო პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს.



2024 წელს საქპატენტის ციფრული საკომუნიკაციო არხების ეფექტურობა რეკორდულად გაიზარდა, რაც დასტურდება შემდეგი მაჩვენებლებით: წინა წელთან შედარებით 42.4%-ით არის გაზრდილი ახალი გამომწერების რაოდენობა: +2 900 ადამიანი (ჯამში 19,368).

ჩვენ მიერ ატვირთული ვიდეოების ყურების ხანგრძლივობა გაზრდილია 587.3%-ით, რაც 540 დღესა და 19 საათს უტოლდება. ჯამურმა ნახვამ დაახლოებით 1,7 მლნ შეადგინა.

სოციალური მედიის დამხმარე საკომუნიკაციო არხის LINKEDIN-ის ანალიტიკური მონაცემები 2024 წლის საანგარიშო პერიოდში (უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტობრივად წინა წლებში არ ხდებოდა ლინკდინის გამოყენება):

- აუდიტორია – 25 500 მომხმარებელი:
- რეაქცია – 729;
- გამომწერი – 348 (+187).